საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/3 " 22 " თებერვალი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბ. ალავიძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ბესარიონ ალავიძეს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2021 წლის 22 თებერვალს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ 2021 წლის 19 თებერვალს №01/21/03 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ საბჭომ იმსჯელოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე ბესარიონ ალავიძე მონაწილეობას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის 2020 წლის 20 ნოემბერს გამოცხადებულ და ამჟამად მიმდინარე პროცედურაში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება პარლამენტისათვის კანდიდატის წარდგენა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში ბესარიონ ალავიძეს ექნება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ბესარიონ ალავიძეს 2021 წლის 23 თებერვლიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე ან შესაბამის ვაკანტურ ადგილზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისისა.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე